F 75 N 165.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
24 აგვისტო
1940 წ.
№ 196 (5897)
ფასი 10 კაპ.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის წლისთავი

ერთი წლის წინათ, 1939 წლის 23 აგვისტოს, მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ერთერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს ჩვენი ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში, ვინაიდან მან აღნიშნა მკვეთრი გარდატეხა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობის განვითარებაში და გახდა „შემობრუნების პუნქტი ევროპის, და არა მარტო ევროპის ისტორიაში“ (**მოლოტოვი**).

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ბოლო მოეღო მტრობას გერმანიასა და სსრ კავშირს შორის, მტრობას, რომელსაც ხელოვნურად აღვივებდნენ ომის პროვოკატორები, რომლებმაც ჩიხში მოაქციეს მეგობრობა სსრ კავშირისა და გერმანიის ხალხთა შორის.

ხელს აწერდა რა ხელშეკრულებას, ორივე მხარე გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ მტრობას ორივე სახელმწიფოს შორის, როგორც ეს ისტორიამ გვიჩვენა, არასოდეს არ მოუტანია სარგებლობა არც გერმანიის ხალხისათვის, არც სსრ კავშირის ხალხთათვის. პოლიტიკურ სისტემათა და იდეოლოგიის სხვადასხვაობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც უნდა ყოფილიყო გადაულახავ წინააღმდეგობად ორივე სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი და ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის.

საბჭოთა კავშირის პოზიცია განისაზღვრებოდა მშვიდობიანობისათვის ბრძოლის მისი უცვლელად პრინციპული და თანმიმდევრული პოლიტიკით, პოლიტიკით, რომელიც უაღრესი სიზუსტით ფორმულირებულ იქნა ამხანაგ **სტალინის** მიერ საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე: „ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები“.

გერმანიასთან მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება შეესაბამებოდა და შეესაბამება სსრ კავშირის ძირითად სახელმწიფო ინტერესებს. ამიტომ საბჭოთა კავშირი დაეთანხმა გერმანიას, რომელმაც წინადადება მისცა დაეწყო მოლაპარაკება თავდაუსხმელობის პაქტის დადებაზე.

გერმანიის პოლიტიკა ამ შემთხვევაში სწორედ ასევე განისაზღვრებოდა მისი ძირითადი სახელმწიფო ინტერესებით, ემყარებოდა საერთაშორისო ცხოვრებაში სსრ კავშირის უდიდესი ხვედრითი წონის, მთელ საერთაშორისო განვითარებაზე სსრ კავშირის გავლენის ფხიზლად გათვალისწინებას.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია საერთო საერთაშორისო განვითარებასთან, განსაკუთრებით მკაფიოდ იხატება იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ფონზე, რომლებიც განვლილ წელს მოხდა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტი ხელმოწერილ იქნა იმ მომენტში, როდესაც ევროპას ჩამოაწვა იმპერიალისტური ომის ქარიშხლის მოახლოებელი ღრუბლები, ომისა, რომელსაც დიდხანს და თანდათანობით ამზადებდნენ ლონდონისა და პარიზის დიპლომატიურ კანცელარიებში. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ მთლიანად დაადასტურა ის ფაქტი, რომ ომის პროვოკატორები მთავარ იმედს ამყარებდნენ გერმანიასა და სსრ კავშირს შორის მტრობის გაჩაღებაზე, ევროპის ამ უდიდეს სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული კონფლიქტის პროვოკაციაზე. ასეთი გეგმების არსებობა დაადასტურა იმ მთელი რიგი დიპლომატიური დოკუმენტების შინაარსმა, რომლებიც შემდეგში, მათი ავტორების სურვილის წინააღმდეგ, საყოველთაოდ ცნობილი გახდა.

სწორედ ამ მიზანს—სსრ კავშირისა და გერმანიას შორის შეიარაღებული კონფლიქტის პროვოკაციას — ემსახურებოდა ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის „ჩაურევლობის“ ყბადაღებული პოლიტიკა. მთელი მიუნხენის პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად ედო მისწრაფება წაესისიანებინათ გერმანია საბჭოთა კავშირზე. ამავე მიზანს ემსახურებოდა ის პოლიტიკა, რომელმაც მიუნხენის პოლიტიკა შესცვალა — პოლიტიკა სსრ კავშირის ჩაბმისა ინგლის-საფრანგეთის ბლოკში. ამ პოლიტიკას საფუძვლად ედო მისწრაფება წაეკიდებინათ სსრ კავშირი გერმანიასთან, შეექმნათ გერმანიის წინააღმდეგ „აღმოსავლეთის ფრონტი“ სსრ კავშირის სახით, რათა ეომნათ გერმანიის წინააღმდეგ სსრ კავშირის ხელით.

ომის პროვოკატორთა გეგმები გამოცნობილ იქნა. გამოვიდა რა პარტიის XVIII ყრილობაზე, ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი დახასიათება მისცა ეგრეთწოდებულ ჩაურევლობის პოლიტიკას, რომელიც ევროპაში იმპერიალისტური ომის მომზადების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს სურდათ თავზე მოეხვიათ საბჭოთა კავშირისათვის ეს იმპერიალისტური ომი. ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა საბჭოთა ქვეყანას სიფხიზლისაკენ, მოუწოდა „დაიცვას სიფრთხილე და საშუალება არ მისცეს ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა“. ინგლის - საფრანგეთის ბლოკის თვალთმაქცური, ორპირული თამაში სავსებით გამოაშკარავებულ იქნა ერთის მხრით ინგლისსა და საფრანგეთს და მეორე მხრით სსრ კავშირს შორის მოლაპარაკების პროცესში. ამ მოლაპარაკებამ მარცხი განიცადა, ვინაიდან სსრ კავშირი მიისწრაფოდა განეხორციელებინა თავისი სახელმწიფოებრივი ამოცანები ჩვენი ქვეყნის დასავლეთი საზღვრების რაიონებში და განემტკიცებინა მშვიდობიანობა, ინგლის-საფრანგეთის დიპლომატია კი —იქითკენ, რომ უგულებელეყო სსრ კავშირის ეს ამოცანები, გამოეწვია ომი და ჩაება მასში საბჭოთა კავშირი. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა მანევრებმა მარცხი განიცადა მოსკოვშიც და ბერლინშიც. უკვე იმ სამეურნეო მოლაპარაკებამ, რომელიც დაიწყო გერმანიასა და სსრ კავშირს შორის 1939 წლის ზაფხულში და დამთავრდა 1939 წლის 19 აგვისტოს სავაჭრო-საკრედიტო შეთანხმების დადებით, ცხადჰყო, რომ არსებობს ყველა შესაძლებლობა მშვიდობიანი და ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობისათვის.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის სავაჭრო-საკრედიტო შეთანხმების დადების შემდეგ უშუალოდ წამოიჭრა გერმანიასა და სსრ კავშირს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხი.

მოლაპარაკებისათვის მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ-რიბენტროპი, და 23 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება გერმანიასა და სსრ კავშირს შორის.

ცნობას საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის ხელმოწერის შესახებ უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ როგორც სსრ კავშირის ხალხები, ისე გერმანიის ხალხი. ეს ისტორიული დოკუმენტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეგობრობას გერმანიისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის, მათ სამართლიანად შეაფასეს როგორც ომის გაჩაღების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გამარჯვება.

და მართლაც, იმ ფაქტმა, რომ ევროპის ორი უდიდესი სახელმწიფო შეთანხმდა მშვიდობიანობის შესახებ და გამორიცხა მათ შორის სამხედრო კონფლიქტის შესაძლებლობა, უკვე თავისთავად შეზღუდა ომის ინგლისელ-ფრანგ ორგანიზატორთა მოქმედების სფერო, შეზღუდა პლაცდარმი მეორე იმპერიალისტური ომისა, რომელიც მალე გაჩაღდა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის ხელმოწერის შედეგად მთელი აღმოსავლეთი ევროპა გამოყვანილ იქნა სამხედრო მოქმედების ასპარეზად გადაქცევის საფრთხიდან. სავსებით უეჭველია ისიც, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცებამ უაღრესად შეუწყო ხელი მშვიდობიანობის შენარჩუნებას ბალკანეთშიც.

მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცება, ომის შესაძლებელი პლაცდარმის შეზღუდვა ყველაზე ნაკლებად შეესაბამებოდა იმათ ანგარიშს, ვინც ამზადებდა ამ ომს, ვინც ვარაუდობდა ჩაება მასში რაც შეიძლება მეტი სახელმწიფოები, ვინც დღემდე არ გამოსთხოვებია ომის შემდგომი გაფართოების, მისი მსოფლიო ომად გადაქცევის იმედებს. ამიტომ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პრესა ხიშტებით შეხვდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის დადებას, ასტეხა გაბოროტებული ღმუილი, გააჩაღა გააფთრებული ცილისმწამებლური კამპანია სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ცნობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის შესახებ გაისმა, როგორც უკანასკნელი გაფრთხილება იმპერიალისტური ომის ორგანიზატორებისა და სულისჩამდგმელების მიმართ. მაგრამ ამ გაფრთხილებამ არ გასჭრა. ომი დაიწყო. ამ ომის პირველი მსხვერპლი გახდა მთლიანად გახრწნილი პოლონეთის სახელმწიფო, რომელიც სამხედრო ავანტიურაში გადაეშვა ლონდონისა და პარიზის ყბადაღებული „გარანტიების“ იმედით.

პანების პოლონეთმა ვერ გაუძლო დარტყმას და დაირღვა, ხუხულასავით დაიშალა ისე, რომ თავის მოკავშირეთაგან ვერავითარ დახმარებას ვერ ეღირსა. ამ მარცხის მიუხედავად, ინგლის - საფრანგეთის ბლოკმა ხელი არ აიღო თავის გეგმებზე. და უნდა ითქვას, რომ საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტურ წრეებში მაშინაც ცოცხლობდა იმის იმედები, რომ მოახერხებდნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის აფეთქებას. ამ წრეებს კვლავ გაუცრუვდათ იმედი. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობა კვლავ ვითარდებოდა ორივე მხარის სასარგებლოდ. 1939 წლის 28 სექტემბერს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ახალი შეთანხმება: გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ.

ამ ხელშეკრულებამ, რომელმაც მოაწესრიგა პოლონეთის სახელმწიფოს დაშლასთან დაკავშირებული საკითხები, მკვიდრი საძირკველი შექმნა ხანგრძლივი მშვიდობიანობისათვის აღმოსავლეთ ევროპაში, შექმნა წინასწარი პირობები გერმანიასა და სსრ კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. 28 სექტემბერსვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ-რიბენტროპმა გადასცეს ერთმანეთს წერილები ორივე სახელმწიფოს შორის სამეურნეო ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

პოლონეთის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ გერმანიამ წინადადება მისცა ინგლისსა და საფრანგეთს შეეწყვიტათ ომი. საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირა გერმანიის ინიციატივას. მაგრამ ვერც გერმანიის წინადადებამ და ვერც სსრ კავშირის გამოსვლამ ვერ ჰპოვა გამოხმაურება ვერც ინგლისში და ვერც საფრანგეთში. ომი გრძელდებოდა და გაპარტახება, უბედურება და ტანჯვა მოჰქონდა ყველა იმ ხალხებისათვის, რომლებიც ომის ორგანიზატორებმა ამ წოცვა-ჟლეტაში ჩაითრიეს.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის განვითარებისათვის, საბჭოთა საზღვრების უშიშროების განმტკიცებისათვის. როდესაც დაიწყო ომი ერთის მხრით ინგლისსა და საფრანგეთს და მეორე მხრით გერმანიას შორის, საბჭოთა კავშირი ნეიტრალიტეტის პოზიციას დაადგა.

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტმა გაუადვილა საბჭოთა კავშირს ნეიტრალიტეტის პოზიციის შენარჩუნება, გაუადვილა საბჭოთა კავშირს სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელება.

მეორე მხრით, საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის, ისევე როგორც გერმანიასა და სსრ კავშირს შორის მეგობრობისა და სახელმწიფო საზღვრის შესახებ ხელშეკრულების არსებობამ უზრუნველჰყო გერმანიისათვის ის, რომ გულდამშვიდებული ყოფილიყო აღმოსავლეთის მიმართ.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრული ურთიერთობის განვითარებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ორივე სახელმწიფოს შორის სამეურნეო კავშირურთიერთობის განმტკიცებითა და გაფართოებით. გერმანიაში წასული საბჭოთა სამეურნეო დელეგაციის და სსრ კავშირში ჩამოსული გერმანიის ეკონომიური დელეგაციის საქმიანობის შედეგად, წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება სამეურნეო შეთანხმების შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1940 წლის 11 თებერვალს. ამ შეთანხმებამ გაითვალისწინა ორივე სახელმწიფოს შორის საქონელბრუნვის ფართო და ორივესთვის ხელსაყრელი განვითარება.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერის მომენტიდან წელიწადი გავიდა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობამ, რომელიც აგებულ იქნა ახალ საფუძველზე, ღირსეულად დაიჭირა გამოცდა, მით უფრო საგულისხმო, რომ ეს გამოცდა სწარმოებდა განსაკუთრებით დაძაბულ ვითარებაში, უდიდესი მასშტაბებით გაშლილი ომის, კაპიტალისტური სამყაროს უდიდეს სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა მკვეთრად გამწვავების ვითარებაში, ახალი კონფლიქტების ჩასახვის ვითარებაში, იმ პირობებში, როდესაც ცნობილი საერთაშორისო ელემენტები განუწყვეტლივ და თავგამოდებით მიმართავდნენ ცდებს გათიშვა შეეტანათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობაში.

საბჭოთა კავშირ - გერმანიის ახლანდელი ურთიერთობის სიმტკიცე აიხსნება იმით, რომ „საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დამყარებულ კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობას საფუძვლად უდევს არა კონიუნქტურული ხასიათის შემთხვევითი მოსაზრებანი, არამედ როგორც სსრ კავშირის, ისე გერმანიის ძირითადი სახელმწიფო ინტერესები“ (**მოლოტოვი**).

„პრავდის“ მოწინავე, 23/VIII.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ა. დ. პანოვი დანიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ, გაათავისუფლა რა იგი ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ი. ა. ლესოვიკოვი დანიშნა საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილედ.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ვ. პ. რიაბჩიკოვი დანიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ და შეიყვანა იგი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს კოლეგიის შემადგენლობაში.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პირველი შედეგები

საუბარი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად - საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ფ. სუხანოვთან

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა შეაჯამა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პირველი შედეგები. მომავალი სასწავლო წლიდან იხსნება 59 ახალი უმაღლესი სასწავლებელი. მათ შორის: დაზგაინსტრუმენტალური და საკრედიტო-ეკონომიური ინსტიტუტები ლენინგრადში, უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური, პედაგოგიური და ვეტერინარული ინსტიტუტები ლვოვში, სვერდლოვსკის სასოფლო-სამეურნეო და ნოვოსიბირსკის საგეგმო ინსტიტუტები, სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტები მთელ რიგ ქალაქებში.

წელს უმაღლეს სასწავლებლებში (დაუსწრებელი ინსტიტუტების ჩაუთვლელად) მიღებულ უნდა იქნას 194 ათასი ახალი სტუდენტი. მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველი მნიშვნელოვნად მეტი აღმოჩნდა. ამჟამად მისაღები გამოცდები ძირითადად დამთავრებულია. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ამხ. სუხანოვმა სთქვა:

— წინასწარი ცნობები მისაღები გამოცდების შესახებ მოწმობენ, რომ აბიტურიენტთა მნიშვნელოვან რაოდენობას საშუალო სკოლის კურსის სრული ცოდნა აქვს. მაგრამ მრავალი გამომცდელი ჰფიქრობს, რომ შემომსვლელთა მომზადების დონე შარშანდელს არ აღემატება.

ყველაზე მეტი განცხადება შეტანილი იყო სამედიცინო და იურიდიულ ინსტიტუტებში, ისტორიულ და ლიტერატურულ ფაკულტეტებზე და სამრეწველო უმაღლეს სასწავლებლების მეტ ნაწილში. ყველა ისინი უკვე სავსებით დაკომპლექტებული არიან. მაგრამ პერიფერიაში მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიური, დღემდე მთლად დაკომპლექტებულნი არ არიან. აბიტურიენტთა უმრავლესობამ მიაშურა ყველაზე ცნობილ სასოფლო-სამეურნეო აკადემიებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც, უმთავრესად, დიდ ქალაქებში არიან. ამავე დროს პერიფერიაშიც ცოტა როდია კარგად მოწყობილი და გამართული უმაღლესი სასწავლებლები. კომიტეტმა და სახკომატების სასწავლებელთა მთავარმა სამმართველოებმა სათანადო განმარტება გამოაქვეყნეს, და ახლა აბიტურიენტები ხალისით მიდიან იმ უმაღლეს სასწავლებლებში.

ბევრმა აბიტურიენტმა ყველა საჭირო გამოცდა ჩააბარა, მაგრამ კონკურსით მიღებული ვერ იქნა ადგილების უქონლობის გამო. მათ შესაძლებლობა მიეცათ სხვა იმ უმაღლეს სასწავლებლებში შევიდნენ, სადაც ვაკანსიები ჯერ კიდევ არის. თუ აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პირობების მიხედვით საჭიროა რომელიმე საგნის დამატებით ჩაბარება, აბიტურიენტს საშუალება აქვს შეასრულოს ეს 25 აგვისტომდე, ზოგ შემთხვევაში კი 1 სექტემბრამდე. მიცემულია აგრეთვე მითითება ნება დაერთოთ იმ აბიტურიენტებს, რომლებიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში არ არიან მიღებულნი, პერიფერიის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისათვის საჭირო დამატებითი საგნები ჩააბარონ უშუალოდ მოსკოვში. მაგალითად, მოსკოვის სამთო ინსტიტუტში მოწყობილია დამატებითი გამოცდები მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში იმათთვის, ვისაც დონეცის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, სვერდლოვსკისა და დნეპროპეტროვსკის სამთო ინსტიტუტებში შესვლა სურთ.

უმაღლესი სასწავლებლების ძირითადს ამოცანებს ამჟამად წარმოადგენს ახალი სასწავლო წლის დასაწყისის კარგი ორგანიზაცია, სტუდენტებისათვის სწავლის საჭირო პირობების შექმნა, მკაცრი დისციპლინის დამყარება.

სსრ კავშირის პროკურატურაში

პროკურატურის ორგანოებმა ცუდი ხარისხის, არაკომპლექტური და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა დირექტორები, მთავარი ინჟინრები და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსები. კერძოდ, პასუხისგებასა და სამართალში იქნენ მიცემულნი ჩელიაბინსკის შემდუღებელი ქარხნის დირექტორი ლიხაჩევი და ტექნიკური ხელმძღვანელი სოლდატოვი, რომელთა ბრალითაც ქარხანა სისტემატურად უშვებდა ცუდი ხარისხის პროდუქციას. ლიხაჩევსა და სოლდატოვს სასამართლომ მიუსაჯა ხუთ-ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა.

სისხლის სამართლის პასუხისგებასა და სამართალში იყო მიცემული ხარკოვის შევჩენკოს სახელობის ქარხნის ტექნიკური კონტროლის უფროსის მოადგილე მამოტკო, რომელმაც დანაშაულებრივი დამოკიდებულება გამოიჩინა ქარხნის პროდუქციის ხარისხის შემოწმებისადმი. სასამართლომ მამოტკოს 5 წლის პატიმრობა მიუსაჯა.

ცუდი ხარისხის ფეხსაცმლის სისტემატურად გამოშვებისათვის სამართალში იყვნენ მიცემულნი გორკის ფეხსაცმლის ფაბრიკის „წითელი მეფეხსაცმლის“ ტექნიკური დირექტორი ტიმოფეევი და ფაბრიკის გამოსასვლელი ბაზის დირექტორი ვორონკოვი. ტიმოფეევს მიესაჯა 8 წლის პატიმრობა და შემდეგ 3 წლის ვადით უფლებათა ჩამორთმევა. ვორონკოვს მიესაჯა 5 წლის პატიმრობა.

ახალი სასწავლო წლის წინ

მოსკოვი, 22 აგვისტო (საკდესი). დამთავრდა სამხედრო-საზღვაო საავიაციო სასწავლებლებში მისაღები საკონკურსო გამოცდები. სასწავლებელთა კურსანტებად დამტკიცებული არიან ის პირნი, რომლებმაც ჩინებულად დაამთავრეს საშუალო სკოლა, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლები და უმცროსი მეთაურები, დაჯილდოებულნი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ახალგაზრდობა უდიდეს ლტოლვას იჩენს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციაში შესასვლელად. მარტო ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სამხედრო-საზღვაო საავიაციო-ტექნიკურ სასწავლებელში (ქალაქი მოლოტოვი) 24 ათასი განცხადება შევიდა.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის 1-ლი საქალაქო კონფერენცია

(საკ. კორესპონდენტისაგან)

19 აგვისტოს საღამოს 6 საათზე კინოთეატრის შენობაში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის პირველი საქალაქო კონფერენცია.

კონფერენცია ირჩევს საქმიან და საპატიო პრეზიდიუმს.

ჭიათურის საქალაქო კომიტეტის შექმნისა და ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ა. თოფურიძე.

ამხ. თოფურიძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ვ. კაპანაძემ (ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), შ. პაქსაშვილმა (სტალინის სახელობის მაღაროს დირექტორი), გ. ანდღულაძემ (მარგანტრესტის მმართველი), გ. შეყლაშვილმა (ვოროშილოვის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანი), რომლებმაც ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ჭიათურის რაიონის დაწვრილერთეულება, რაიონიდან ქალაქ ჭიათურის გამოყოფა და ამის საფუძველზე საქალაქო კომიტეტის შექმნა უზრუნველჰყოფს ძირეულ რგოლებისადმი კონკრეტულ ხელმძღვანელობას.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ **სტალინს,** ამხანაგ **ბერიას** და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. **კ. ჩარკვიანს.**

კონფერენციამ აირჩია საქალაქო კომიტეტის პლენუმი 35 წევრისა და 11 კანდიდატის შემადგენლობით და სარევიზიო კომისიაში 5 ამხანაგი.

○

ამავე დღეს შესდგა საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა აირჩია საქალაქო კომიტეტის ბიურო 7 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

ქალაქკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ა. სხილაძე,** მეორე მდივნად ამხ. **შ. მეცხოვრიშვილი,** მესამე მდივნად ამხ. **გ. კირკიტაძე.**

1940 წლის სამხატვრო გამოფენები

მოსკოვი, 22 აგვისტო (საკდესი). წელს მთელი რიგი სამხატვრო გამოფენები მოეწყობა როგორც მოსკოვში, ისე მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში.

გაჩაღებულია მზადება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის თემებზე გრაფიკის ნაწარმოებთა გამოფენისათვის. გადაწყვეტილია ეს გამოფენა გაიხსნას 1 ნოემბერს ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნება 300-მდე ნამუშევარი. უკვე დამტკიცებულია ნაწარმოებთა 200-მდე ესკიზი, რაზედაც მუშაობენ მხატვრები. უკვე მოდის გამზადებული ნაშრომები. გამოფენისათვის პირველი ნაწარმოებნი ჩააბარეს მხატვრებმა კუკრინიქსებმა, სვაროგმა, ლაპტევმა, ლაკოვმა, რიანგინმა და სხვ.

ნოემბერში ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერიაში გაიხსნება გამოფენა „საბჭოთა რეალისტური ხელოვნების მიღწევები“. აქ შეგროვებულ იქნება ხელოვნების ოსტატთა საუკეთესო ნაწარმოებნი, შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში. საინტერესო გამოფენა მოეწყობა ოქტომბერში ახალი დასავლური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. აქ ნაჩვენები იქნება უკრაინის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქების წამყვან მხატვართა ნაწარმოებნი და გუცულთა ხალხური შემოქმედების ნიმუშები.

სამხატვრო გამოფენები გაიხსნება მინსკში, ერევანში, სტალინაბადში, ალმა-ატასა და ტაშკენტში.

ვიბორგში განახლდა ტრამვაის მოძრაობა

ლენინგრადი, 22 აგვისტო (საკდესი). დღეს ვიბორგში განახლდა ტრამვაის მოძრაობა. ტრამვაის მეურნეობა, რომელიც თეთრფინელებმა უკან დახევისას დაანგრიეს, აღდგენილია საბჭოთა ინჟინრებისა და მუშების მიერ.

ტრამვაის ამუშავებასთან დაკავშირებით, ქალაქის ტრამვაის პარკში მიტინგი გაიმართა.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 23 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას:

„გუშინ, საზვერავი ფრენის დროს, გერმანიის ავიაციის საბრძოლო შენაერთებმა იერიში მიიტანეს გემების ორ ქარავანზე ბერვიკის მახლობლად და დაუნსის მახლობლად. მათ დააყარეს ყუმბარა 4 სავაჭრო გემს. გარდა ამისა, ყუმბარა დაუშინეს აეროდრომს მენსტონში. დღის განმავლობაში ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში რამდენიმე საჰაერო ბრძოლა მოხდა, რაც ჩვენი ავიაგამანადგურებლებისათვის წარმატებით დამთავრდა. ღამით გერმანიის ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარა რამდენიმე აეროდრომს კორნუოლსა და უელსში, აგრეთვე საავიაციო ქარხანას რიდინგში და საავიაციო მოტორების ქარხანას როჩესტერში. წინანდებურად ვნაღმავდით ინგლისის ნავსადგურებს. 22 აგვისტოს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დააყარეს დასავლეთ გერმანიას. ზარალი მცირეა. ერთ ქალაქში დანგრეულია საცხოვრებელი სახლი, დაზიანებულია რამდენიმე სახლი. მოსახლეობაში არიან დაჭრილნი. გუშინ მტერმა დაჰკარგა 11 თვითმფრინავი და ორი ჰაერგადამღობი აეროსტატი. გერმანიის ორი თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა“.

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 23 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, გუშინ დაღამებისას მიღებული ცნობებით, გერმანელებმა კენტის საგრაფოს სანაპიროს დაუშინეს შორსმსროლელი ქვემეხები, რომლებიც დადგმულია საფრანგეთის სანაპიროზე, კალეს რაიონში. ამავე დროს ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს საფრანგეთის სანაპიროზე გამართულ გერმანიის ქვემეხებს, რომელნიც დილით უშენდნენ ინგლისის გემების ქარავანს. არსებული ცნობებით, საფრანგეთის სანაპიროსთან გააფთრებული საჰაერო ბრძოლა ხდებოდა. ყუმბარების აფეთქება ინგლისში ისმოდა. გერმანელთა მიერ წარმოებულმა ბომბარდირებამ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. მაგრამ მსხვერპლი შედარებით დიდი არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბომბარდირება მეტად ძლიერი იყო.

გერმანიის არტილერია უშენს ინგლისის სანაპიროს

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გერმანიის შორსმსროლელმა არტილერიამ ლა-მანშიდან 22 აგვისტოს, საღამოს, განაახლა ინგლისის სანაპიროსათვის ყუმბარის დაშენა. ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს არტილერიის პოზიციებს. ინგლისის სანაპიროდან სჩანდა აფეთქება და ცეცხლი გერმანიის საზენიტო ბატარიების განლაგების პუნქტებში.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 23 აგვისტო (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას:

„ინგლისის წყალქვეშა ნავი, რომლის ჩაძირვას ვიტყობინებოდით გუშინდელ ცნობაში, ჩასძირა ნაღმოსანმა „გენერალ აქილეს პაპამ“. ამ წყალქვეშა ნავმა ნაღმოსანს უშედეგოდ ესროლა სამი ნაღმი.

ერთერთმა ჩვენმა საჰაერო შენაერთმა კვლავ დაუშინა ყუმბარა ალექსანდრიის ნავსადგურს (ეგვიპტე). მეორე საჰაერო შენაერთი ხმელთაშუა ზღვაში დაედევნა მოწინააღმდეგის გემების ქარავანს, რომელსაც ორი საესკადრო ნაღმოსანი იცავდა, და ინტენსიურად დაუშინა ყუმბარა. ორივე ოპერაციაში მონაწილე ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

ჩრდილოეთ აფრიკაში მოწინააღმდეგემ მოახდინა საჰაერო თავდასხმები ბამბასა და დერნაზე (ლივია), მაგრამ ამას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია. მოკლულია ერთი კაცი და დაჭრილია ხუთი.

მოწინააღმდეგემ აღმოსავლეთ აფრიკაში მოახდინა აგრეთვე საჰაერო თავდასხმები მოგადიშოზე (იტალიის სომალი), სადაც დაჭრილ იქნა 5 ადგილობრივი ჯარისკაცი და 5 ადგილობრივი მცხოვრები. აგრეთვე დაზიანდა ორი ანგარი, სადაც იყო ოთხი სატვირთო მანქანა. მასაუაზე (ერიტრეა) და ხარმილის კუნძულზე (მასაუას მახლობლად) თავდასხმას არავითარი ზიანი არ გამოუწვევია“.

ინგლისის სანაპირო ბატარიებმა ყუმბარები დაუშინეს საფრანგეთის სანაპიროს

ლონდონი, 23 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში ამტკიცებენ, რომ წუხელ ინგლისის სანაპირო ბატარიებმა რამდენჯერმე დაუშინეს ყუმბარა ლა-მანშის საფრანგეთის სანაპიროს.

ინგლისის არტილერია უშენს კალეს

ბერლინი, 23 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ 22 აგვისტოს, საღამოს, ინგლისის შორსმსროლელმა ქვემეხებმა სროლა აუტეხეს ქალაქ კალეს რაიონს. ზარალი არ ყოფილა.

ლონდონი უარყოფს

ლონდონი, 23 აგვისტო (საკდესი) როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პრესაში გამოქვეყნდა ცნობები მის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობა თითქოს ცდილობდეს შეჰკრას სამხედრო კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რომ მოლაპარაკება, რომელიც კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სწარმოებს, წინ უძღოდეს ასეთი კავშირის დადებას. ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ ეს ცნობები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და შეიძლება კატეგორიულად იქნას უარყოფილი..

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ლიდერების პოზიცია

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ხელმძღვანელ წრეებში აცხადებენ, რომ განდის მიმდევრები მტკიცედ მოითხოვენ ინდოეთისათვის სრული თავისუფლების მინიჭებას. კონგრესის ცნობილმა ლიდერმა ნერუმ განაცხადა: „ჩვენ გადაჭრით ვილაშქრებთ მთავრობისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენს ოპოზიციას შესუსტების ტენდენცია არა აქვს“.

ინგლის-გერმანიის ომი

ინგლისის ავიაციის მინისტრის გამოსვლა

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 20 აგვისტოს თემთა პალატაში კამათის დროს განცხადება გააკეთა ავიაციის მინისტრმა სინკლერმა.

„8 აგვისტოდან, — განაცხადა სინკლერმა, — ჩვენმა საჰაერო ძალებმა მოსპეს გერმანიის 701 თვითმფრინავი. მათს შორის საზენიტო არტილერიამ — 55 თვითმფრინავი. ჩვენ მიერ ჩამოგდებული გერმანიის თვითმფრინავების დიდი უმრავლესობა მოდის ინგლისის ავიაგამანადგურებლებზე. ამ ხნის განმავლობაში ინგლისში, გერმანიასა და იტალიაში ჩვენ დავკარგეთ 192 ავიაგამანადგურებელი და ყუმბარმშენი. ჩვენი ზარალი ინგლისში და ინგლისის სანაპიროს მახლობლად შეადგენს 90 მფრინავს მაშინ, როდესაც გერმანიამ დაჰკარგა 1.500 მფრინავი და თვითმფრინავთა ეკიპაჟების სხვა წევრი. თუ ინგლისში ჩვენ მიერ გაწეულ ზარალს დავუმატებთ იმ ყუმბარმშენების ეკიპაჟებს, რომლებიც გერმანიაში ჩამოაგდეს, ინგლისის ავიაციის საერთო ზარალი შეადგენს 300 პილოტს მაშინ, როდესაც გერმანიამ 1.500 მფრინავზე გაცილებით მეტი დაჰკარგა.

ჩვენი თვითმფრინავების ღამის თავდასხმები თავისი ძალით მნიშვნელოვნად აღემატება დღის თავდასხმებს. ღამის გახანგრძლივებასთან ერთად ჩვენი ყუმბარმშენი ავიაციის მოქმედება უფრო გაძლიერდება. ჩვენი თვითმფრინავები კიდევ უფრო ღრმად შეიჭრებიან მტრის ტერიტორიაზე“.

სინკლერმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედრო პრობლემების გადაწყვეტის დროს მხედველობაშია მიღებული ყველა გაკვეთილი წარსულისა და შესაძლებლობანი.

შემდეგ შეეხო რა ავიაციის საკითხებს, სინკლერმა განაცხადა: „მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატება მფრინავთა შემადგენლობის მომზადების საიმპერიო გეგმის განხორციელების დარგში. ავიაციის სამინისტროს იმედი ჰქონდა, რომ მფრინავთა გარკვეულ რაოდენობას მოამზადებდა კანადაში მომავალი წლის ივლისისა თუ აგვისტოსათვის. მაგრამ ამჟამად ცხადი ხდება, რომ სამინისტრო ამ მფრინავებს აპრილშივე მიიღებს. ამჟამად უკვე გაჩაღებული უნდა ყოფილიყო მფრინავთა შემადგენლობის მომზადება საფრანგეთის ხუთს საავიაციო სკოლაში. ავიაციის სამინისტროს მიერ გადადგმული ერთერთი ნაბიჯი იყო აუცილებელი პირობების შექმნა საავიაციო სკოლების მოსაწყობად ჩრდილოეთ აფრიკაში. მაგრამ საფრანგეთის დამარცხების გამო ამ გეგმებზე ხელი უნდა აგვეღო.

ამ უკანასკნელ ხანს საჰაერო ბრძოლების ინტენსიობის მიუხედავად, პირველი ხაზის ჩვენი იმ ავიაგამანადგურებლების ესკადრილიების რაოდენობა, რომლებიც მზად არიან მტრის წინააღმდეგ ოპერაციებისათვის მნიშვნელოვნად იმაზე მეტი გახდა, ვიდრე წინათ ყოფილა. ჩვენ განუწყვეტლივ ვაძლიერებთ ჩვენი ყუმბარმშენი ავიაციის ძალას. მისი დარტყმები გერმანიასა და იტალიაში სულ უფრო საგრძნობი ხდება. ის ფაქტი, რომ გერმანიის ყუმბარმშენმა ავიაციამ, რომელიც რიცხვით ჩვენს ავიაციას სჭარბობს, ვერ შესძლო მნიშვნელოვანი ნგრევა გამოეწვია ინგლისში, მოწმობს თავდაცვის ჩვენი სისტემის ეფექტიანობას.

ბრძოლები აფრიკაში

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო ნაირობიდან იუწყება: „სახმელეთო საპატრულო ნაწილებმა აქტიური მოქმედება განაახლეს ჩრდილოეთი საზღვრების რაიონში. სამხრეთ-აფრიკის საჰაერო ძალები თავს დაესხნენ მოგადიშოს (იტალიის სომალის მთავარი ნავსადგური). აღნიშნავენ, რომ ყუმბარები პირდაპირ მოხვდა ტრანსპორტსა და ადმინისტრაციულ შენობებს. რადიოსადგური და ანგარი ალში იყო გახვეული. ყველა ჩვენი თვითმფრინავი ბაზაში დაბრუნდა“.

უარჰყოფენ ინგლის-ამერიკის სამხედრო კავშირის შესახებ გავრცელებულ ხმებს

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ვაშინგტონში უარჰყოფენ ხმებს იმის შესახებ, რომ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიწყო მოლაპარაკება სამხედრო კავშირის დადებისათვის. აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებას კანადასთან მხოლოდ იმიტომ აწარმოებენ, რომ მხედველობაში აქვთ დასავლეთ ნახევარსფეროზე თავდასხმის შესაძლებლობა მომავალში.

სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უელესმა განაცხადა, რომ არ იქნებოდა სწორი, რომ წყნარ ოკეანეში ბაზების მოწყობის შესახებ ინგლის-ამერიკის შეთანხმების გამო ჩერჩილის მიერ გაკეთებული შენიშვნა შეგვეფასებია, როგორც მითითება იმაზე, რომ არსებობს რაღაც შეთანხმება წყნარ ოკეანეში თანამშრომლობაზე, რომელიც შეიძლება გავრცელებულ იქნას ატლანტის ოკეანეზედაც. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ მან არაფერი არ იცის ინგლის - ამერიკის მოლაპარაკებაზე სამხედრო კავშირის დადების შესახებ.

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის ტოკიოელი კორესპონდენტი იტყობინება ინფორმირებულ წრეებში აცხადებენ, რომ იაპონია ყურადღებით თვალყურს ადევნებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და კანადის შორის მოლაპარაკების მიმდინარეობას. იაპონიას ძალზე შეაშფოთებს ის, ამბობენ ამ წრეებში, თუ ამ ქვეყნებს შორის მიღწეულ იქნა ურთიერთგაგება სამხედრო საკითხებში, რის შედეგადაც წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში ინგლისის საზღვაო ბაზები ხელმისაწვდომი აღმოჩნდება ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

ფართოდ ვრცელდება ხმები, რომ ინგლისს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებული აქვს საიდუმლო ხელშეკრულება, რომლითაც ინგლისის საზღვაო ბაზა სინგაპურში ვაშინგტონის სურვილისამებრ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეერთებული შტატების მიერ.

რუმინეთის მოლაპარაკება ბულგარეთსა და უნგრეთთან

ბუქარესტი, 22 აგვისტო (საკდესი). ოფიციალურ წრეებში კვლავინდებურად არაფერს იტყობინებიან, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება ტურნუ-სევერინსა და კრაიოვაში. არავითარი ოფიციალური ცნობა არ გამოუქვეყნებია არც დღევანდელ პრესას. რაც შეეხება ბულგარეთ - რუმინეთის მოლაპარაკებას, როგორც გაზეთები სწერენ, იგი დასასრულს უახლოვდება. „ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი—სწერს გაზეთი „კურენტული“, — ტერიტორიების დათმობის საკითხი, — უკვე გადაწყვეტილია, დელეგაციის წევრები მხოლოდ დეტალებზე მუშაობენ“.

რუმინეთის მოლაპარაკება უნგრეთთან, როგორც გაზეთების ცნობებიდან სჩანს, შეჩერებულია, რადგან დელეგაციების ხელმძღვანელნი წავიდნენ თავიანთ მთავრობებისათვის მოხსენების გასაკეთებლად.

დღეს ყველა გაზეთი პირველ გვერდზე ბეჭდავს გერმანული, იტალიური და უნგრული წარმოშობის გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ რუკებს, რომლებმაც უნდა დაამტკიცონ, რომ ტრანსილვანიაში რუმინული მოსახლეობა სჭარბობს. ჟურნალისტთა წრეებში კვლავინდებურად ფიქრობენ, რომ ეს მოლაპარაკება არავითარ დადებითს შედეგს არ მოიტანს, ვინაიდან წინააღმდეგობანი ერთობ დიდია. მაგალითად, რუმინეთის აზრით, მოლაპარაკებაში პირველ რიგში უნდა იდგეს მოსახლეობის გაცვლა-გამოცვლის საკითხი, შემდეგ კი ტერიტორიების დათმობის საკითხი. უნგრელები კი მოითხოვენ, რომ, უპირველეს ყოვლისა, დაკმაყოფილებულ იქნას მათი ტერიტორიული პრეტენზიები და მხოლოდ ამის შემდეგ თანხმდებიან მოსახლეობის გაცვლა - გამოცვლის საკითხის განხილვაზე.

ერთობ დიდია უთანხმოება ტერიტორიების დათმობის საკითხშიც. მაშინ როდესაც უნგრელები რუმინეთისაგან საერთოდ 14 რაიონს მოითხოვენ, რუმინელები თანახმა არიან ამ რაიონთაგან დაუთმონ მხოლოდ ოთხი და ისიც არა მთლიანად.

○

ბუდაპეშტი, 22 აგვისტო (საკდესი). ტურნუ - სევერინიდან ბუდაპეშტში დაბრუნებულმა უნგრეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჰორიმ 20 აგვისტოს პრემიერ ტელეკისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჩაკის გააცნო რუმინეთთან მოლაპარაკების მიმდინარეობა. ჟურნალისტთა წრეების ცნობებით გაიმართა უნგრეთის მთავრობის სხდომა, რომელიც უნგრეთ-რუმინეთის მოლაპარაკებას მიეძღვნა. გამოირკვა, რომ გადასწყდა მოლაპარაკების განგრძობა.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, უნგრეთმა მოითხოვა 18 კომიტეტის (ოლქის) გადაცემა, რუმინელები კი თანახმა არიან მხოლოდ 4-5 ოლქი დაუთმონ, უნგრეთი მოითხოვს ტრანსილვანიის ტერიტორიის 48 ათას კვადრატულ კილომეტრს, რუმინელებს კი განზრახვა აქვთ მისცენ მხოლოდ 5-6 ათასი კვადრატული კილომეტრი.

„ახალი პოლიტიკური სტრუქტურა“ იაპონიაში

ტოკიო, 22 აგვისტო (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება: „ახალი პოლიტიკური სტრუქტურა“ თანდათან გარკვეულ ფორმებს იღებს. ამის ნიადაგი მომზადებულ იქნა პარტიების დაშლით. „ახალი პოლიტიკური სტრუქტურის“ ცენტრი იქნება ეროვნული საბჭო (სახელწოდება პირობითია) დაახლოებით 300 კაცის შემადგენლობით. იგი იქნება პარლამენტის შემადგენელი ნაწილი ან დამატება. პრემიერი ოფიციალურად საბჭოს თავმჯდომარედ ჩაითვლება. პარლამენტის წევრები საბჭოში არჩევის უფლებით სარგებლობენ“.

მდგომარეობა საფრანგეთში

ბერლინი, 22 აგვისტო (საკდესი). „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ სწერს, რომ ეკონომიური მდგომარეობა საფრანგეთში სულ უფრო სერიოზული ხდება. საფრანგეთში არავის არა აქვს იმის იმედი, რომ ვიშის მთავრობა შესძლებს ხალხის გაჭირვების შემსუბუქებას. მეურნეობის აღდგენა მოითხოვს უდიდეს სახსრებს, რაც საფრანგეთს არ მოეპოვება. პირველ რიგში დიდი ფინანსიური დახმარება ესაჭიროებათ ლტოლვილებს. ჯერ კიდევ უკანასკნელ ხანამდე საფრანგეთის დაუპყრობელ ოლქებში 9-10 მილიონი ლტოლვილი იყო. საფრანგეთში უმუშევართა რიცხვი ძალზე დიდია.

განსაკუთრებული ნაკლებობაა სურსათ-სანოვაგისა. რესტორანებში ახლა უკვე სადილი ერთი კერძისაგან შესდგება. პროდუქტების გაცემა ნორმირებულია. არ არის იმის პერსპექტივა, რომ სურსათ-სანოვაგით მომარაგება გაუმჯობესდება. ომმა შეარყია საფრანგეთის ისედაც სუსტი სოფლის მეურნეობა. მთელ რიგ ოლქებში გლეხებს არა თუ მიწის დამუშავების სურვილი არა აქვთ, არამედ მოსავლის აღებაც კი არ სწადიათ.

რკინიგზები დღემდი არ აღუდგენიათ. საჭიროა 700 დანგრეული ხიდის ხელახალი აშენება. საწვავი მასალის მხოლოდ ერთი თვის მარაგია. ადგილობრივი ტრანსპორტი არ მუშაობს.

პრეზიდენტის არჩევნებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო (საკდესი). დემოკრატიული პარტიის ყრილობისადმი რადიოთი წარმოთქმულ მიმართვაში რუზველტმა განაცხადა, რომ მრავალმა ამერიკელმა, მათ შორის ცნობილმა მრეწველებმა, „გვერდზე გადასდო თავისი კერძო საქმეები, რათა დღევანდელი საერთაშორისო კრიზისის დროს მთავრობის განკარგულებაში იყოს“. რუზველტმა აღნიშნა, რომ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ერთი კაცი, რომელმაც მისი მოწვევა უარჰყო.

20 აგვისტოს ჰაიდ-პარკში (პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენცია) პრესის წარმომადგენლებთან შემდგარ საუბარში რუზველტმა სთქვა, რომ მხედველობაში ჰყავდა საგაზეთო გაერთიანების „სკრიპს-ჰოვარდის“ მეთაური ჰოვარდი.

რუზველტს წინადადება მიუცია მისთვის სამხრეთ - ამერიკაში გაფრენილიყო ოფიციალურ პირებთან მოსათათბირებლად „ლათინურ-ამერიკულ ქვეყნებში მე-5 კოლონის აქტივობის“ საკითხზე. ჰოვარდს წინადადება უარუყვია. ახლა ჰოვარდი შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობს.

საგაზეთო გაერთიანებამ „სკრიპს-ჰოვარდმა“ გამოაქვეყნა ჰოვარდის წერილი, სადაც იგი უარჰყოფს რუზველტის წინადადებას, რასაც იმით ასაბუთებს, რომ „სამხრეთ-ამერიკის პოლიტიკასა და მოღვაწეებს არასაკმარისად იცნობს“. „სკრიპს-ჰოვარდის“ საგაზეთო გაერთიანებას ეკუთვნის 19-მდე გავლენიანი გაზეთი, რომლებიც 1928 წელს მხარს უჭერდნენ ჰუვერის კანდიდატურას, 1932 წელს რუზველტის კანდიდატურას, ხოლო 1936 წელს ლენდონის კანდიდატურას. ახლა ეს გაზეთები, ალბათ, მხარს უჭერენ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს პრეზიდენტობაზე უილკის. შესაძლოა, ეს იყოს იმის მიზეზი, რომ ჰოვარდმა უარი განაცხადა რუზველტის წინადადებაზე.

ამერიკის წარდგინება იაპონიისადმი

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის კონსულმა შანხაიში წარდგინება გაუკეთა იაპონიის კონსულს იმ ზიანის თაობაზე, რაც ამერიკის საკუთრებას მიადგა იაპონიის ავიაციის მიერ ჩუნცინის ბომბარდირების დროს.

მოკლე ცნობები

⊙ ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გადადგა არგენტინის პრეზიდენტი ორტისი.

⊙ ლორდთა პალატაში ლორდ-კანცლერის საიმონის განცხადებით, გადასახადებით დაბეგვრა ინგლისში გასული წლის განმავლობაში 888 მილიონ გირვანქა სტერლინგიდან გადიდდა 1.500 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე.

⊙ ამერიკის შეერთებული შტატების ფოლადსამსხმელო მრეწველობა 19 აგვისტოსათვის დატვირთული იყო მისი სრული საწარმოო სიმძლავრის 89,7 პროცენტით, ნაცვლად გასული წლის შესაბამისი პერიოდის 62,2 პროცენტისა.

⊙ ესპანეთში სამხედრო სამსახურის გავლის ვადა ერთი წლიდან გაგრძელებულია ორ წლამდე.

⊙ როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ინგლისის მთავრობამ იაპონიას განუცხადა, რომ ინგლისი დაინტერესებულია სტატუს-კვოს შენარჩუნებით საფრანგეთის ინდო-ჩინეთში.

⊙ შანხაიდან მიღებული ცნობით, ამ დღეებში საფრანგეთის სამხედრო გემებმა ჰაიფონი (საფრანგეთის ინდო-ჩინეთი) დასტოვეს, როგორც სჩანს, იმ მიზნით, რომ თავიდან აეცდინათ იაპონიის ფლოტის მიერ ალყის შემორტყმის საფრთხე.

⊙ საფრანგეთის ყოფილი განათლების მინისტრი ჟან ზეი, რომელსაც თავისი პოსტიდან დეზერტირობა ბრალდებოდა, დაკავებულ იქნა რაბატში (მაროკო). ახლა იგი დაპატიმრებულია კლერმონფერანში. ჟან ზეის საქმეს გაარჩევს სამხედრო ტრიბუნალი.

⊙ ამერიკის ფოლადის მრეწველობის სამი დიდი კომპანიის — „ბეტლეჰემ სტილ კორპორეიშენის“, „რიპაბლიკ სტილ კორპორეიშენისა“ და „იანგსტაუნ შიტ ენდ ტიუბ კომპანის“ წმინდა მოგება 1940 წლის პირველ ნახევარში შეადგენდა 30,58 მილიონ დოლარს. აღნიშნული კომპანიების წლიური პროდუქცია დაახლოვებით 20 მილიონ ტონას უდრის. მათი მოგება 1939 წლის მეორე ნახევარში შეადგენდა 32.45 მილიონ დოლარს მაშინ, როცა 1939 წლის პირველ ნახევარში იგი 7,86 მილიონ დოლარს უდრიდა.

სამხრეთ-ოსეთის მხატვრები (მარცხნიდან მარჯვნივ) ა. ზასეევი, მ. ტუგანოვი და ც. გაზდანოვი, რომლებიც მონაწილეობენ სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების ჩვენებაში.

სამხრეთ-ოსეთის სახვითი ხელოვნება

სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების ჩვენებას, რომელიც აგვისტოს დამლევსა და სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება თბილისში, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ჩვენების დროს სამხრეთ-ოსეთის ხალგაზრდა ხელოვნება პირველად გამოდის ფართო ასპარეზზე და თავისი მიღწევების პატაკს აბარებს დედაქალაქის მშრომელებს.

სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების ჩვენება იწყება მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებების გამოფენით. 25 აგვისტოს სამხატვრო გალერიაში გაიხსნება გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია 250 ექსპონატი.

ოსური სახვითი ხელოვნება, ისე როგორც ლიტერატურა, კოსტა ხეთაგუროვიდან იღებს საწყისს. კოსტა იყო ოსი ხალხის პირველი პოეტი და მხატვარი. მაგრამ კოსტას ცხოვრება უხდებოდა იმ დუხჭირ პერიოდში, როცა მეფის თვითმპყრობელობა სისხლში ახრჩობდა პატარა ერების თვითცნობიერების ყოველგვარ ცდას. მხოლოდ საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ შესაძლებელი შეიქნა კოსტას მიერ უხვად დათესილის აღმოცენება და გაფურჩქვნა. მხოლოდ საბჭოთა სამხრეთ-ოსეთში ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი სახვით ხელოვნებას.

1929-30 წლებში მხატვარმა მახარბეკ ტუგანოვმა საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით გახსნა პირველი სამხატვრო სტუდია, რომელიც 1937 წელს სამხატვრო სასწავლებლად გადაკეთდა. ახლა სტალინირის სამხატვრო სასწავლებელში 50 მოწაფე სწავლობს. ამ სასწავლებლის 6 კურსდამთავრებული ახლა მოსკოვში განაგრძობს უმაღლეს სამხატვრო განათლების მიღებას. ისინი უკვე მონაწილეობენ საკავშირო მასშტაბის გამოფენებში და ერთი მათგანი—ვ. ჩოჩიევი დაჯილდოვებულიც იქნა ერთერთ დიდ გამოფენაზე მონაწილეობისათვის.

გამოფენაზე, რომელიც ხვალ იხსნება, წარმოდგენილია კ. ხეთაგუროვის, მ. ტუგანოვის, ა. ზასეევის, ტუაევის, მოქანდაკე ძმების ძარტიევების, ბასიშვილის და სტუდენტების ტიგიევის, დოგუზოვის, კოკოევის და ყარანაშვილის ნაწარმოებები.

გამოფენა ორი განყოფილებისაგან შესდგება. გალერიის მარჯვენა დარბაზში გამოფენილია ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება, ხოლო მარცხენა დარბაზში — თეატრალური (დეკორატიული) მხატვრობის ნიმუშები — სტალინირის ოსური თეატრის დადგმების მაკეტები, დეკორაციების და ტანისამოსის ესკიზები.

კ. ხეთაგუროვი წარმოდგენილია ორი ორიგინალური პორტრეტით და 6 სურათის ასლით. ყურადღებას იპყრობს პოპოვას პორტრეტი, სურათები: „მთიელი ქალი“, „ბუნებრივი ხიდი“ და სხვ.

მ. ტუგანოვი წარმოდგენილია მთელი რიგი დიდი ტილოებით, რომლებიც საინტერესო თემებზეა დაწერილი, ასეთებია: „მესისხლეთა შერიგება“, „ზვავში დაღუპულთა ძებნა“, „13 კომუნარის დახვრეტა“, „1905 წელი ოსეთში“, „კოსტას პორტრეტი“ და სხვები.

სამხრეთ-ოსეთის სახვითი ხელოვნება მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს. გამოფენა, რომელსაც თბილისის მშრომელები უთუოდ დიდი ინტერესით გაეცნობიან, მხოლოდ დაწყებაა, პირველი ნაბიჯია. იზრდება ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლის პირველი ნაბიჯები საკუთარი სტილის ძიების ნიმუშებს წარმოადგენენ. მათ წინაშე ფართო გზაა გახსნილი. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მზრუნველობით, გამობრძმედილი სტალინელის ლ. ბერიას პირადი დახმარებით სამხრეთ-ოსეთი, საქართველოს ჩამორჩენილი კუთხე ძველად, ახლა მოწინავე რიგებში დგება. წინ მიდის სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას ფეხდაფეხ მისდევს კულტურისა და კერძოდ ხელოვნების ზრდა. ამის საუკეთესო დამადასტურებელია სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების ჩვენება, რომელსაც ასეთი დიდი ინტერესით ხვდება თბილისის საზოგადოებრიობა.

გრ. ნუცუბიძე

საქ. სახელმწიფო ზოოვეტინსტიტუტში 1940-41 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტთა სია

ვეტერინარულ ფაკულტეტზე

ახალაშვილი თ. ა., აბუთიძე დ. გ., აბშილავა ვ. გ., ალხაზაშვილი შ. დ., ანთაძე გ. ხ., ბენდიანიშვილი მ. გ., ბედბაია მ. ბ., ბოსტანაშვილი ქ. ვ., ბარამიძე თ. ვ., ბოდოკია ნ. ს., ბუზალაძე ე. ზ., გაბედავა შ. გ., გილიგაშვილი გ. ი., გუგუნავა ტ. ტ., გაბუნია ნ. მ., გვაჩარია ვ. თ., გოროზია მ. კ., გელენიძე ვ. ე., გედევანიშვილი ვ. ი., გუგუშვილი ე. ა., გელენიძე ნ. გ., გეგეჭკორი მ. ი., გუმბერიძე გ. დ., გოგიშვილი ე. ი., დოლიძე გ. ვ., დავითულიანი ზ. ს., დოლიშვილი გ. ზ., დადიანი ო. დ., თოლორდავა ო. ვ., თხილაიშვილი ს. ვ., კლდეისელი გ. ზ., კაკაშვილი ი. ი., კობიაშვილი ი. ი., კაჭარაშვილი ნ. ა., კვარაცხელია ი. ი., კობახიძე მ. პ., კიკოზაშვილი მ. ხ., ლომთაძე შ. პ., ლუკამევიჩი ე. ა., ლორთქიფანიძე ქ. ს., მამუკაშვილი შ. მ., მიქაძე ა. ლ., მარუაშვილი ა. ვ., მღვდლიაშვილი გ. ნ., მესხი ჯ. ვ., მიმინოშვილი ქ. ყ., მესხი ლ. ს., მასხულია ჯ. ა., მელქაძე ე. ბ., მასხულია თ. ე., მაისურაძე ა. ა., მესხიშვილი თ. თ., ნადირაძე თ. ი., ნიკურაძე გ. ს., ვაშაკიძე შ. მ., ნუცუბიძე გ. ი., ნოზაძე ტ. ი., პეტრენკო ლ. ა., პეტრიაშვილი შ. ა., ულენტი თ. ს., ჟორდანია გ. ა., ლუხვაძე ე. ა., რუხაძე ე. მ., რაზიკაშვილი თ. გ., სალარიძე ნ. თ., სადრაძე თ. გ., სულაქველიძე გ. ი., სადილიანი ა. ო., სამთელაძე ქ. პ., ტუღუში ა. ვ., ტოროტაძე ე. ა., ფაღავა შ. გ., ფირაძე პ. ბ., ფანჩულიძე თ. ი., ფულარია ჟ. პ., ფირანიშვილი ვ. გ., ქუთელია ი. კ., ქეშიშევი თ. კ., ქურასპედიანი ბ. ნ., კენკაძე ო. ნ., ყატაშვილი მ. ვ., ყიფიანი ნ. გ., ყარელაშვილი ს. ი., შოშიტაშვილი მ. ი., მანიძე ე. ა., შარტავა ნ. პ., შოშიაშვილი ლ. მ., ჩიქობავა გ. ს., ცისკარიშვილი თ. ნ., ცქიფურიშვილი თ. ი., ცხვარიაშვილი ვ. გ., ცერცვაძე ნ. ი., წერეთელი ა. ნ., ჭანტურია შ. ა., ხურცილავა შ. ვ., ხოჭოლავა ს. ჭ., ხარაზაშვილი შ. ბ., ხარისჩაროვი რ. ი., ჰინჭარაძე ვ. ა., ჯმუხაძე ლ. ბ.

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე

ასლამაზოვი ს. ი., არაბიძე მ. ი., ბუჯიაშვილი ე. ა., ბურჯანაძე შ. ვ., ბრელიძე ლ. ვ., ბუბაშვილი ი. დ., გოგილაშვილი გ. ლ., გიუაშვილი ბ. ა., გეგია ბ. გ., გოგოლაძე ლ. ი., ცელიაზარიშვილი თ. პ., გველუკაშვილი ი. ა., დავითაშვილი ქ. ლ., დაუშვილი ლ. ი., დარსაველიძე ტ. რ., დარსაველიძე გ. ა., დანელია პ. ა., ესაკია თ. კ., ერგემლიძე დ. ს., ვარსიმაშვილი ი. ზ., ვასილცევი მ. ვ., ზვიადაძე ე. ს., ზაალიშვილი ი. მ., თევზაძე ნ. ა., ითონიშვილი ე. გ., კვანტალიანი მ. ს., კვიკვინია შ. პ., კახეთელიძე მ. ლ., კაკაბაძე რ. ს., კაპანაძე ვ. დ., კიტანიშვილი მ. ი., კოპალიანი გ. პ., კობაიძე თ. ვ., კერესელიძე შ. ნ., კაჭარავა დ. ვ., კობახიძე მ. პ., კიპრუჭაძე თ. ა., კაციტაძე ქ. ყ., კანდელაკი შ. კ., ლაპიაშვილი გ. დ., ლალიაშვილი შ. ზ., ლაპიაშვილი ე. დ., ლოლაძე ე. მ., ლოლუა ლ. ე., მარგალიტაძე კ. ი., მელიქოვი გ. პ., მინდორაშვილი ზ. ს., მსუქნიშვილი გ. ლ., მიქაძე ა. ა., მიქიაშვილი ა. უ., მემანიშვილი ა. ნ., მამულაიშვილი ა. ნ., მჭედლიშვილი ნ. დ., მიქაძე თ. გ., მშვიდობაძე დ. ვ., მუშკუდიანი ნ. ნ., მერმანიშვილი მ. მ., მეგრელიძე ა. რ., ნიკოლეიშვილი ვ. ი., ნაკანი ო. ტ., ნაგლაძე მ. ე., ნარიშვილი მ. ი., ოძელაშვილი ს. გ., პაპიაშვილი თ. ს., პავლიაშვილი ვ. დ., რევაზიშვილი ე. გ., მუხაძე ნ. დ., რუსიაშვილი თ. ა., რობიტაშვილი ვ. ს., სიდონაშვილი გ. მ., საჯაია ი. დ., საძაგლიშვილი გ. ი., ტყეშელაშვილი თ. ვ., ფირცხელაური ვ. ნ., ქებურია ნ. ნ., ქსანდიროვი ა. პ., ქარსელაძე დ. პ., ყურულოვი ბ. ი., შალამბერიძე ბ. ს., შენგელია ო. დ., შარტავა ო. ტ., შათირიშვილი ვ. ლ., შალიახოვა ა. ა., შავნგირაძე თ. ი., შენგელია ე. ს., ჩახნიანი ა. ვ., ჩქარეული კ. მ., ჩიხლაძე მ. ნ., ჩიტაიშვილი მ. ი., ცქვიტინიძე გ. გ., ძნელაძე ვ. გ., ძველაია გ. მ., ძველაია ა. ს., წერეთელი ი. თ., წვერავა ო. გ., ჭელიძე ქ. ნ., ჭინჭინაძე კ. გ., ჯობავა ა. დ., ჯოჯუა ე. ლ., ჯიოშვილი ა. ტ.

ორივე ფაკულტეტზე მეცადინეობა დაიწყება ა/წ. 2 სექტემბერს.

ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან, გაირიცხებიან ინსტიტუტიდან.

საქ. სახ. ზოოვეტინსტიტუტის
დირექტორი დოც. ნ. მესხი.

სრულიად-საკავშირო კონკურსი საუკეთესო პიესაზე

საუკეთესო პიესაზე სრულიად-საკავშირო კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი კონკურსის მიმდინარეობის შესახებ. რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სათეატრო განყოფილების უფროსმა ამხ. რალფმა აღნიშნა, თუ როგორ მიმდინარეობს კონკურსი რესპუბლიკაში.

პირველ ტურში შემოვიდა რამდენიმე ასეული პიესა უაღრესად სხვადასხვა ჟანრისა — ვოდევილიდან და კომედიიდან ტრაგედიამდე. ბევრი ნაწარმოები მიძღვნილია სამოქალაქო ომისადმი, სოციალისტური მშენებლობისადმი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისადმი, ოჯახურ საყოფაცხოვრებო პრობლემებისადმი და სხვ. ზოგიერთმა ავტორმა პიესის თემად აირჩია დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლება.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. როზენტალმა მოხსენება გააკეთა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კონკურსი დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში. აგვისტოს დამდეგისათვის უკრაინაში კონკურსზე შემოვიდა 100-ზე მეტი პიესა, ბელორუსიაში—60 პიესა, სომხეთში — 50 პიესა.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სოლოდოვნიკოვმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა: კონკურსის მნიშვნელობა არა მარტო ის არის, რომ მან უშუალო შედეგი მოგვიტანოს ერთი ან ორი ათეული პიესის სახით, არამედ ისიც, რომ დახმარება გაგვიწიოს გამოვაჲინოთ კადრები, რომლებთანაც მუშაობა უნდა დავიწყოთ კონკურსის შემდეგ.

საორგანიზაციო კომიტეტმა საჭიროდ ჩასთვალა კონკურსის ფართო პოპულარიზაცია. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი კონკურსის პირველი ტური განგრძობილ იქნას ერთი თვით—პირველ ოქტომბრამდე, ისე, რომ ამასთანავე არ იქნას გადაწეული შედეგების შეჯამებისა და გამოქვეყნების ვადა.

უახლოეს ხანში საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, დრამატურგები და კრიტიკოსები ადგილებზე გაემგზავრებიან, რათა შეამოწმონ კონკურსის მიმდინარეობა და დაეხმარონ ხელოვნების საქმეთა რესპუბლიკურ სამმართველოებს, რაც შეიძლება სწორედ შეაფასონ შემოტანილი პიესები. (საკდესი).

სსრ კავშირის პირველობაზე

თბილისის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ შეხვედრა

25 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდება მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ საჩვენებელი გუნდები. ორივე გუნდი ძირითადი შემადგენლობით გამოვა.

თამაშის დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი წინადადებას აძლევს საქ. კ. პ. (ბ) წევრს ამხ. მიხეილ პლატონის-ძე **ლიბრაძეს** გამოცხადდეს რაიკომში.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომი წინადადებას იძლევა 5 დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომში: ალექსანდრე სიმონის-ძე **მცურავიშვილი** და მალხაზ გიოს-ძე **ბეგიაშვილი**.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2843446, გაცემული გერასიმე ასლანის-ძე **გოზრონიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1671793, გაცემული პეტრე ანდრიას-ძე **გვარამიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1538254, გაცემული თეიმურაზ ლავრენტის-ძე **ურუშაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2841093, გაცემული გიორგი ივანეს-ძე **კაკაშვილის** სახელზე და პარტბილეთი № 2841305, გაცემული არჩილ ეფრემის-ძე **ცაბაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1539917, გაცემული პეტროს პოლოსის-ძე ეფტიევას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1547363, გაცემული ბაგრატ გიორგის-ძე **მჭედლიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხაჭიაშვილი**

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940—1941 წ. წ. სეზონი
25 აგვისტოდან დაიწყება
აბონემენტების გაცემა
თეატრის სალარო ღიაა დღის 2 საათიდან საღამოს 10 საათამდე.
3—1 100 დირექცია

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის რ იპიგზის მუშათა ფაკულტეტ აცხადებს
მოსწავლეთა მიღებას უფროსი ჯგუფების შესავსებად
(მესამე და მეოთხე კურსებზე).
პირობების გასაგებად უნდა მიმართოთ მუშათა ფაკულტეტის კანცელარიაში, ორჯონიკიძის ქ. № 42, საღამოს 7 საათიდან 11 საათამდე გარდა დასასვენებელ დღეებისა. მისაღები გამოცდები დაიწყება ა. წ. 25 აგვისტოს.
327 ადმინისტრაცია.

სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების ჩვენება
საქ. საბჭოთა მხატვრების სურათების გალერიაში
(რუსთაველის პროსპ., 13)
25 აგვისტოს გაიხსნება სამხრეთ-ოსეთის
მხატვრების ნაწარმოებთა
გამოფენა.
180

ინჟ. ჭ. შარაშიძე, ა. ფიცხელაური ოჯახებით იუწყებიან სიმამრის
ისაკ ახვლედიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/VIII 6 ს. კამოს ქ. 43, კუკიის სასაფლაოზე. 7604

ჭანიშვილი, რუსია, ნიკურაძე, გამრეკელი, ქაჯაია, ოდიაშვილი, ხითარიშვილი, პავლოვსკაია, ახვლედიანი, ჭელიძე, ბარამიძე, ტყეშელაშვილი, ვოიცეხოვსკი იუწყებიან ბიკენტი ლაბაძის დედის
ანას
გარდაცვალებას. 7610

უახლოესი მეგობრები ალათი, ნესტორ, ელიკო, სერგო, გულდამ აბშილავები იუწყებიან მასწავლებელ
გიორგი თედორეს-ძე ბალანჩივაძის
გარდაცვალებას. 7606

მშობლები სერგო, ტერეზი, ცოლი ანია, შვილი ნელი, ძმა სერიოჟა, და სონია, სიძე ნესტორ შვილებით იუწყებიან, რომ 25/VIII 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
პავლე მაღლაკელიძის
პანაშვიდი. 7608

ბასილაშვილი, ბათიაშვილი, ცაგარელი, ჭყონია, სოხაძე, შარაშენიძე, ჩიმახიძე, გიორგობიანი, გიორგაძე, პასიაშვილი, ჩხაიძე, ჭავჭავაძე, მენთეშაშვილი, კორძაძე იუწყებიან მე-51 საშ. სკოლის მასწავლებელ
გიორგი ბალანჩივაძის
გარდაცვალებას. 7592

საქმედდამზადება-მომარაგების თანამშრომლები ბაბუციძე, თხილაიშვილი, ჩაკვეტაძე, სულუხია, დოლიძე, ჯაფარიძე, ანანიაშვილი, სუხიშვილი, აბაზაძე, სტურუა იუწყებიან ლევან შენგელაიას ბიძის
კალისტრატე შენგელაიას
გარდაცვალებას. 7599

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ თანამშრომლები იუწყებიან ტასო დევდარიანის ქალიშვილის
მარგოს
გარდაცვალებას. 7591

სიდედრი აგრაფინა, ცოლისძმები მიშიკო, გიგია, რძალი პაშა, ცოლისდაძმები ლოლობერიძეები, სიძეები ვალიკო, კაკო იუწყებიან
გიორგი თედორეს-ძე ბალანჩივაძის
გარდაცვალებას. 7586

ძიძიგური, ბერულავა, ხვიჩია, მელაძე, სანიკიძე, ჯობავა, დაბრუნდაშვილი, ჭელიძე, ჭოლაძე, დოლიძე, თავაძე, ავალიშვილი, ცომაია, პეტრიაშვილი, მხითარიანი იუწყებიან ნინო გაბუნიას დედის
ანას
გარდაცვალებას. 7537

ახლო მეგობრები კატო და ნინო სამადაშვილები ოჯახით იუწყებიან
ელიკო სანდროს-ასულ ჭილაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/VIII 8 ს. გამოსვენება 25/VIII 6 ს. საზოგადოების 5. 7612

ექიმი ა. ფავლენიშვილი მეუღლით ელენეთი, შვილით თემურით იუწყება რძლის
ბაბიკო გაფრინდაშვილი-დეკანოზიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VIII ს. შუქრუთში. (ჭიათურა). 7611

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—8—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 8—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—8—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 8—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 8—78—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 8—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—8—80—84, წერილების—8—78—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—8—81—65, გამომცემლობის—8—51—81, სტამბის დირექტორის—8—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 1141